

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №74.06.11.052; №74.06.11.472; №74.06.11.756; №74.06.11.442; №74.06.11.133; №74.06.11.450) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის N587 დადგენილების - „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისად მიმდინარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2020 წლის 29 დეკემბრის N120/ო ბრძანებისა და 2020 წლის 30 დეკემბრის N14/20 ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე დამუშავებული დოკუმენტაციის - გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №74.06.11.052; №74.06.11.472; №74.06.11.756; №74.06.11.442; №74.06.11.133; №74.06.11.450) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის განხილვა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე და მოიცავს 6 მიწის ნაკვეთს, საკადასტრო კოდებით: №74.06.11.052; №74.06.11.472; №74.06.11.756; №74.06.11.442; №74.06.11.133; №74.06.11.450. გუდაურის გენერალური გეგმით მიწის ნაკვეთები განთავსებულნი არიან ლადშაფტურ ტერიტორიაზე, თუმცა იმყოფებიან განაშენიანებისათვის დასაშვები ტერიტორიის ფარგლებში. ნაკვეთები მდებარეობს კობი-გუდაურის მაგისტრალის სიახლოვეს და გააჩნიათ მასთან საგზაო კავშირი. დღესაც სამანქანო წვდომა მიწის ნაკვეთებთან არსებობს, თუმცა გზა კეთილმოწყობილი არ არის. მიმდებარედ განხორციელებულია და ახლაც მიმდინარეობს მშენებლობები. მიწის ნაკვეთები პრაქტიკულად უზრუნველყოფილია საინჟინრო ინფრასტრუქტურით. სამხრეთით არსებულ გზაზე გადის წყალგაყვანილობა და გაზგაყვანილობა, ელექტრომომარაგების ხაზებიც უშუალო სიახლოვეშია. ცენტრალურ საკანალიზაციო ხაზზე დაერთებამდე, შესაძლებელია ცალკეულ ნაკვეთებზე ლოკალური ჭების განთავსება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. მიუხედავად რთული რელიეფისა, რომლის საშუალო დახრილობა მერყეობს 20% - 40% -ს შორის, ნაკვეთების განაშენიანებაზე რეალური მოთხოვნა არსებობს. გენერალური გეგმით ნაკვეთების ფუნქციის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ სასოფლო-სამოსახლო ზონით. კონცეფციით ასეც არის დაგეგმილი, ნაგულისხმებია ინდივიდუალური განაშენიანებით ტერიტორიის განვითარება. მიწის ნაკვეთებთან წვდომა ხორციელდება სამხრეთით არსებული გზის მეშვეობით. ავტოფარეხები განთავსებულია უშუალოდ გზის პირას. კოტეჯები რელიეფშია შეჭრილი 2 სართული მანსარდით და ნახევარსარდაფით.

საპროექტო ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციასთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენა შესაძლებელია 10 სამუშაო დღის ვადაში 2021 წლის 22 ინვისამდე, შემდეგი ელექტორნული ფოსტის მეშვეობით: sajaro.gankhilvebi@mrdi.gov.ge